საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/177

.....19..... ივლისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

„ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ხათუნა დუმბაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 ივნისის N 01-02/136 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების მე-7-8 მუხლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებებისა (01. 06. 2022, ოქმი N 22-20/9, 15.07.2022, ოქმი N22-20/12), ხათუნა დუმბაძის განცხადების (06.07.2022) და ცნობის (N 726, 06.07.2022), სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის რამაზ ხალვაშის (MES 1 22 0000811796 18/07/2022) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ხათუნა დუმბაძის** სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 17 ივნისის N 01-02/136 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **„ისტორიის"** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ხათუნა დუმბაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„ბათუმის საქალაქო თვითმართველობა 1888-1914 წლებში"** საჯარო დაცვა დაინიშნოს **2022 წლის 28 ივლისს, 13:00 საათზე** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, II სართული, 37-ე აუდიტორია).

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების

ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფ. რ. ხალვაში) და საბჭოს მდივანს (პროფ. მ.კიკვაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქუჩა, №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი **ანზორ ბერიძე**